



მექრთამეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა

პოლიტიკის მფლობელი : ეთიკისა და კომპლაენს მენეჯერი

ძალაში შესვლის თარიღი: 2022 წლის 1 აგვისტო

I. შინაარსი და მიზანი

სელფი მობაილი ('კომპანია') იცავს მექრთამეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ყველა კანონს, რომელიც მასზე ვრცელდება და ყველასგან, ვინც ბიზნეს საქმიანობას ეწევა მისთვის ან მისი სახელით, მოითხოვს შესაბამისი კანონის მოთხოვნების დაცვას. წინამდებარე მექრთამეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა („პოლიტიკა“) შემუშავებულია იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას დაინერგოს კეთილსინდისიერი ბიზნეს პრაქტიკა და შესაბამისობა მოქმედ კანონებთან.

მექრთამეობამ ან კორუფციამ სელფისა თუ მისი პერსონალისთვის შესაძლოა გამოიწვიოს სამართლებრივი, მათ შორის, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და საზიანო აღმოჩნდეს სელფის ბიზნესისა და მისი რეპუტაციისთვის. კომპანია არ დაუშვებს მექრთამეობისა და კორუფციის არავითარ ფორმას.

მექრთამეობასა და კორუფციასთან ბრძოლის წინამდებარე პოლიტიკა („პოლიტიკა“) მიზნად ისახავს მექრთამეობასა და კორუფციასთან ბრძოლის მოქმედ კანონებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას და მოწინავე პრაქტიკების დანერგვას ბიზნესში მექრთამეობისა და კორუფციის პრევენციის მიზნით.

II. ძირითადი ასპექტები

- ჩვენ ვიცავთ მოქმედ კანონებს.
- ჩვენ არ ვთავაზობთ, არ ვპირდებით, არ ვიხდით ქრთამს და არ ვაძლევთ მისი გადახდის უფლებას.
- ჩვენ არ ვთავაზობთ, არ ვპირდებით, არ ვიღებთ ქრთამს და არ ვაძლევთ მისი მიღების უფლებას.
- ჩვენ არ ვავალდებულებთ სხვებს, ჩვენი სახელით გადაიხადონ ან მიიღონ ქრთამი.
- ჩვენ არ ვთანამშრომლობთ კორუმპირებულ მხარეებთან.
- ჩვენ ვიცავთ პოლიტიკის პრინციპებს.

III. გამოყენების სფერო

წინამდებარე პოლიტიკა ვრცელდება სელფიზე, სელფის პერსონალზე და უფლებამოსილ წარმომადგენლებზე.



წინამდებარე პოლიტიკა არ ანაცვლებს კორუფციასა და მოსყიდვასთან ბრძოლის შესახებ მოქმედი კანონების არსებით სამართლებრივ მოთხოვნებს. წინამდებარე პოლიტიკა და სხვა შესაბამისი პოლიტიკები და პროცედურები ადგენენ მოთხოვნების და შესაბამისობის მინიმალურ სტანდარტს. იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლობა, რეგულაციები ან წესები ადგენენ უფრო მაღალ სტანდარტს, მაშინ დაცული უნდა იქნას ასეთი მაღალი სტანდარტი.

IV. ტერმინთა განმარტებები

ნებისმიერი რამ ღირებული: ყველაფერი (მატერიალური თუ არამატერიალური), რომელსაც გააჩნია ღირებულება მიმღებისთვის და შეიძლება მოიცავდეს და არ შემოიფარგლება რა ამით: ფულს, აქციების, ობლიგაციების ან სხვა ქონების გადაცემას; ხარჯების გადახდას; ნებისმიერი ტიპის მომსახურების გაწევას; საჩუქრებს; მოგზაურობას (იმ მხარეებისთვის, რომლებიც არ არიან სელფის პერსონალის წევრები); მასპინძლობას; ვალის პატივებას; სასურველი ტელეფონის ნომრების გამოყენებას (ე.წ. „ლამაზი ნომრები“); სამსახურის შეთავაზებას და სტაჟირებას, მათ შორის, ოჯახის წევრებისთვის; შეწირულობებს გარკვეული ქველმოქმედებისთვის; საქონლის, მომსახურებების ან მატერიალური და არამატერიალური აქტივების გადაცემას, რაც სარგებელს მოუტანს მიმღებს. არ არსებობს მინიმალური თანხა, რომელიც გადაჭარბებული უნდა იქნას, იმისათვის, რომ ღირებული ნივთი თუ საგანი ჩაითვალოს არალეგალურად მექრთამეობის შესახებ კანონების შესაბამისად, მათ შორის შეთავაზება და დაპირებაც, მიუხედავად იმისა წარმატებული იყო თუ არ აღნიშნული ქმედება.

უფლებამოსილი წარმომადგენელი: ნებისმიერი აგენტი, რომელიც არ წარმოადგენს სელფის ან სელფის თანამშრომელს, ან რომელიმე მესამე მხარე, სათანადოდ უფლებამოსილი, რომელსაც მიღებული აქვს დავალება ან გაფორმებული აქვს კონტრაქტი, იმოქმედოს სელფისთვის ან მისი სახელით, სელფის ბიზნესისთვის თუ სელფის პერსონალს რაიმე ვალდებულება აქვს წინამდებარე პროცედურაში, აღნიშნული ვალდებულება თანაბრად ვრცელდება ყველა უფლებამოსილ წარმომადგენელზე.

ქრთამი: რაიმე ღირებულის გაცემა, მიღება, დაპირება, ან ავტორიზება მიმღებზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით, განახორციელოს ან არ განახორციელოს რაიმე ქმედება, ან შემთხვევა როდესაც სარგებლის მიღება ბენეფიციარისთვის არაკანონიერი იქნებოდა.

საქველმოქმედო შეწირულობა: შეწირულობა (ფულადი თუ არაფულადი) ჰუმანიტარული მიზნებით ან სტიქიური უბედურებების დროს დახმარების გაწევის მიზნით, სარგებლის მიღების მოლოდინის გარეშე, იმ გარემოებებში, რომლებიც წინამდებარე პოლიტიკითაა გათვალისწინებული.

ახლო ნათესავები: მშობელი, მეუღლე, თანამცხოვრები პარტნიორი და-ძმა ან შვილი(მათ შორის გერი ან ნაშვილები).

კომერციული სპონსორობა: მაღალი რანგის ღონისძიების, აქტივობის ან ორგანიზაციის ფინანსური ან არაფინანსური მხარდაჭერა კორპორაციული პოპულარიზაციის, სარეკლამო სივრცის ან სხვაგვარი წარმოჩინებისთვის ან კომერციული საბაზრო გაცვლა, სელფის ბრენდის, პროდუქტების, მომსახურებების ან რეპუტაციის გაზრდის სანაცვლოდ, გაყიდვების ან მომხმარებლის ლოიალობის



წახალისების მიზნით (მაგ. გამოფენები, კონფერენციები, სპორტული ან საქველმოქმედო ღონისძიებები და ა.შ.).

კორუფცია: არაკეთილსინდისიერება, პატიოსნების ნაკლებობა, ან ძალაუფლების ან თანამდებობის ბოროტად გამოყენება პირადი სარგებლის ან კომპანიის ბიზნეს პრივილეგიის მიღების მიზნით.

უფასო ან ფასდაკლებული მოწყობილობები: უფასო ან ფასდაკლებული სატელეკომუნიკაციო მოწყობილობები, როგორცაა მობილური ტელეფონები, ტელეფონები და ა.შ., თანმდევი ფიჭური, ქსელური ან მონაცემთა გადაცემის მომსახურების გარეშე.

უფასო ან ფასდაკლებული „ლამაზი ნომრები“: ტელეფონის უნიკალური, იშვიათი ან სასურველი ნომრები (მაგ., ადვილად დასამახსოვრებელი ნომრები, ბრენდული სახელის ეკვივალენტური, განმეორებითი ან თანმიმდევრული ციფრები), რომლებიც გაიცემა უფასოდ ან არასაბაზრო ფასად.

უფასო ან ფასდაკლებული მომსახურებები: უფასო ან ფასდაკლებული ფიჭური, ქსელური ან მონაცემთა გადაცემის მომსახურებები (თანმდევი მოწყობილობის გარეშე). ასევე, უწოდებენ „უფასო ნომრებს“.

უფასო სატესტო მომსახურებები: უფასო SIM ბარათები (მაგ., ულიმიტო ხმოვანი ტესტის SIM ბარათები) და თანმხლები მოწყობილობები / აპარატურა, რომლებიც მომხმარებლებს გადაეცათ ტესტირების მიზნით (მაგ., ქსელის გამოყენებით ტრაფიკის ტესტირების ჩასატარებლად) (ასევე, უწოდებენ "უფასო სატესტო SIM-ბარათებს"). უფრო კონკრეტულად, უფასო სატესტო SIM-ბარათები, რომლებიც დროებით გაიცემა დეტალური/Arm's Length წერილობითი კონტრაქტით, ან სამთავრობო უწყების მოთხოვნით ტექნიკური ტესტირების მიზნით, არ არის გათვალისწინებული წინამდებარე პოლიტიკით.

საჩუქარი: ღირებულების მქონე მატერიალური საგანი, რომელიც გაიცემა ან მიიღება უფასოდ ან ფასდაკლებით (არასაბაზრო ფასით).

სახელმწიფო ორგანო: ამა თუ იმ ფედერალური, რეგიონალური, მუნიციპალური სამთავრობო ან მარეგულირებელი ორგანოს სააგენტო, სახელმწიფო ორგანო, ქვედანაყოფი, დეპარტამენტი და ა.შ.; კომერციული ან მსგავსი კომპანია, რომლის საკონტროლო პაკეტის მფლობელი სახელმწიფოა, სახელმწიფოს აქვს მატერიალური ინტერესი ან სხვაგვარად აკონტროლებს მას, მათ შორის, სახელმწიფო და სამთავრობო კომპანიები თუ საწარმოები, სახელმწიფო საავადმყოფოები, თავშესაფრები, უნივერსიტეტები და სკოლები; საჯარო საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორცაა გაერთიანებული ერები ან მსოფლიო ბანკი; და ნებისმიერი პოლიტიკური პარტია.

სახელმწიფო მოხელე: ნებისმიერი სახელმწიფო ორგანოს თანამშრომელი ან სხვა პირი, რომელიც მოქმედებს ოფიციალური თანამდებობის ფარგლებში, ან ასრულებს სამთავრობო ან მარეგულირებელ ფუნქციას, ან ამგვარი პოზიციის კანდიდატია, რანგის მიუხედავად.

სახელმწიფოსთან დაკავშირებული კომპანია: კომპანია ან ორგანიზაცია, რომელსაც ფლობს ან აკონტროლებს სახელმწიფო მოხელე ან სახელმწიფო მოხელის ახლო ნათესავი.



მასპინძლობა: ღირებულების მეორე მატერიალური ნივთი ან საგანი, რომელსაც ჩუქნიან ან იღებენ უფასოდ ან შემცირებულ (არასაბაზრო) ფასად, მათ შორის:

- საკვები, მათ შორის მიღებები, ლანჩები, სადილები და რეფრეშმენტი;
- გართობის ნებისმიერი ფორმა, როგორცაა მოწვევა სპორტულ ღონისძიებებზე, თეატრში, კულტურულ ღონისძიებებზე, ან კომპანიის დაფინანსებულ ღონისძიებებზე (თუ ტარდება კომპანიის გარეთ), მათ შორის ისეთ ღონისძიებებზე, რომლებისთვისაც გაიცემა ფიზიკური/მატერიალური ბილეთები და
- გადახდა პროფესიულ ღონისძიებებზე დასასწრებად, როგორცაა კონფერენციები, გამოფენები, ტრენინგები და ა.შ., მათ შორის ყოველგვარი დაკავშირებული სამგზავრო და სასტუმროს ხარჯები.

სოციალური ინვესტიცია: სელფის მიერ განხორციელებული ინვესტიცია (ფულადი თუ არაფულადი), რომელიც მიზნად ისახავს სოციალური გარემოს ხელშეწყობას მოქმედი კორპორატიული სოციალური სტრატეგიის შესაბამისად.

სელფის პერსონალი: სელფის ნებისმიერი დირექტორი, ოფიცერი, თანამშრომელი, კონტრაქტორი თანამშრომელი/კონსულტანტი, დროებითი თუ მივლინებული თანამშრომელი.

V. პოლიტიკის მოთხოვნები

a. სახელმწიფო მოხელეები და სახელმწიფო ორგანოები

წინამდებარე პოლიტიკა ვრცელდება ნებისმიერ გარიგებაზე როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში. თუმცა, განსაკუთრებული ყურადღებაა საჭირო სახელმწიფო მოხელეებთან და სახელმწიფო კომპანიებთან ურთიერთქმედების დროს, რომლებიც მკაცრად რეგულირდება და შეიძლება წარმოქმნას მექრთამეობის თუ კორუფციის გაზრდილი რისკი.

არც სელფის პერსონალს, არც უფლებამოსილ წარმომადგენლებს არ აქვთ უფლება, სახელმწიფო მოხელეს თუ სხვას გადასცენ რაიმე ღირებული მის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე არაჯეროვანი ზეგავლენის მოხდენის, ბიზნესის მოპოვების, შენარჩუნების თუ უზრუნველყოფის ან კომერციული უპირატესობის მიღების მიზნით.

ურთიერთობა სახელმწიფო კომპანიებთან და სახელმწიფო მოხელეებთან, ასევე, რეგულირდება სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობების და თანამშრომლობის პოლიტიკით.

b. საჩუქრები და მასპინძლობა

საჩუქრები ან წარმომადგენლობითი ხარჯები შეიძლება საჭირო იყოს ურთიერთობების და კეთილი ნების დასამყარებლად ბიზნესში. ამავ დროს, საჩუქრები და მასპინძლობა შეიძლება არაჯეროვნად იქნას გამოყენებული, რამაც შეიძლება წარმოქმნას კომპლექსური რისკები სელფისა და სელფის პერსონალისთვის. სელფის და უფლებამოსილი წარმომადგენლების ბიზნეს გადაწყვეტილებები ყოველთვის ობიექტურად და არამართლზომიერი ზეგავლენის გარეშე უნდა იქნას მიღებული, სელფისთან პირადი ინტერესების ან ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის გარეშე.



გარკვეული ტიპის საჩუქარი და მასპინძლობა ყოველთვის მიუღებელია, როდესაც გაიცემა ან მიიღება სელფის პერსონალის მიერ, მათ შორის:

- a. ფულადი საშუალებები ან მისი ექვივალენტები (მაგ.: სასაჩუქრე სერტიფიკატები ან ბარათები თუ ვაუჩერები, ჩეკები, სესხები, ფასიანი ქაღალდები, ოქრო, კრიპტოვალუტა და ა.შ.);
- b. საჩუქრები ან მასპინძლობა, რომელიც შეიძლება იყოს არადელიკატური, შეუსაბამო, ან ზიანს აყენებდეს სელფის კეთილსინდისიერებას ან რეპუტაციას;
- c. საჩუქრები ან მასპინძლობა ტენდერის პროცესში, მარეგულირებლის გადაწყვეტილების მიღებისას, ან ფასდადების, შესყიდვის ან სხვა სახელმწიფო ან ბიზნეს გადაწყვეტილების მიღების დროს; ან
- d. საჩუქრები ან მასპინძლობა, რომელიც არღვევს მოქმედ კანონებს ან რეგულაციებს.

მასპინძლობა ან საჩუქრების გაცემა ან მიღება უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ პრინციპებს:

<p>1. არაჯეროვანი ზეგავლენა</p>	<p>არავითარ შემთხვევაში არ არის დასაშვები საჩუქრის ან წარმომადგენლობითი ხარჯის გაცემა ან მიღება, პირდაპირ ან ირიბად, შემდეგი მიზნებისათვის:</p> <ul style="list-style-type: none"> • სახელმწიფო ან კერძო ქმედებაზე ზეგავლენის მოხდენის ან ხელის შეშლის მიზნით, როგორცაა კონტრაქტის გაფორმების შესაძლებლობა, გადასახადის ან ჯარიმის დაკისრება, ან კონტრაქტის ან კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულების დაკისრება ან გაუქმება; • ლიცენზიის, ნებართვის ან სხვა ავტორიზაციის მიღება; • კონფიდენციალური ინფორმაციის მიღება; • გავლენის მოხდენა კენჭისყრაზე, იქნება ეს სახელმწიფო, თუ კერძო, რომელიც დაკავშირებულია ამა თუ იმ კანონის, წესის ან რეგულაციის მომზადებასა თუ განხორციელებაზე; • ამა თუ იმ ბიზნესის მიღება ან შენარჩუნება; ან • ნებისმიერი სხვა ბიზნეს უპირატესობის მოსაპოვებლად.
<p>2. ლეგიტიმური ბიზნეს მიზანი</p>	<p>საჩუქრები და მასპინძლობა</p> <ul style="list-style-type: none"> • დაკავშირებული უნდა იყოს ბიზნესთან და უნდა გააჩნდეს ლეგიტიმური ბიზნეს მიზანი. თუ სანაცვლოდ რაიმეს ელით, ეს შესაძლოა არ იყოს ლეგიტიმური.
<p>3. გონივრული ღირებულების მქონე</p>	<p>მასპინძლობა და საჩუქრები</p> <ul style="list-style-type: none"> • არ უნდა იყოს გადაჭარბებული ან ექსტრავაგანტული; • უნდა იყოს გონივრული ღირებულების/არა ძვირადღირებული იმ ადგილმდებარეობისა და გარემოებებისთვის, რომლებშიც გაცემულ იქნა; და



	<ul style="list-style-type: none"> • თუ საჩუქარი გაიცემა, გონივრულობისა და პრაქტიკულობის ფარგლებში ბრენდირებული უნდა იქნას სელფის ბრენდის ასახვის მიზნით.
4. სიხშირე	<i>მასპინძლობა და საჩუქრები არ უნდა იყოს</i> <ul style="list-style-type: none"> • გაცემული ან მიღებული ხშირად.
5. ღირსეული და გემოვნებიანი	<i>მასპინძლობა და საჩუქრები არ უნდა</i> <ul style="list-style-type: none"> • აისახებოდეს უარყოფითად სელფის რეპუტაციაზე ან სხვაგვარად შეუსაბამო იყოს ღირებულებებთან.
6. გამჭვირვალე, ღია და შესაბამისი	<i>მასპინძლობა და საჩუქრები</i> <ul style="list-style-type: none"> • გაცემული და მიღებული უნდა იქნას ღიად და გამჭვირვალედ; • არ უნდა არღვევდეს მოქმედ კანონებსა და სელფის პოლიტიკებსა და პროცედურებს; • არ უნდა არღვევდეს მიმღების კომპანიის პოლიტიკებს; • არ უნდა შეიცავდეს ფულად საშუალებებს თუ მათ ექვივალენტებს; • არ უნდა იქნას გადახდილი პირადი სახსრებით, წინამდებარე პოლიტიკის გვერდის ავლის მიზნით.
7. სათანადოდ აღრიცხული	<i>მასპინძლობა და საჩუქრები</i> <ul style="list-style-type: none"> • სათანადოდ უნდა იქნას აღრიცხული სელფის ბუღალტრულ წიგნებსა და ჩანაწერებში; • სრულად უნდა იქნას დოკუმენტირებული და დასაბუთებული ქვითრებით და შესაბამისი დოკუმენტებით, მათ შორის, თუ შესაძლებელია, საჩუქრის თითოეული მიმღების ან გამასპინძლების ღონისძიებაზე დამსწრე თითოეული პირის სახელით; და • შედარებული უნდა იქნას, რეგულარულად, მასპინძლობისა და საჩუქრების ხარჯებთან, რომლებიც შეტანილია შესაბამის ფინანსურ ანგარიშებში (GL), როგორც რეესტრის, ისე GL ხარჯების აღრიცხვის სრულყოფილების უზრუნველყოფის მიზნით.¹

მენეჯმენტმა, ეთიკისა და კომპლაენს მენეჯერთან კონსულტაციით, უფლებამოსილ წარმომადგენლებს შესაძლოა გაუგზავნონ წერილები, საჭიროების შემთხვევაში, მასპინძლობისა და საჩუქრების ზემოაღნიშნული პრინციპების შეხსენების მიზნით. წერილის ნიმუში მოცემულია დანართ „ა“-ში (**Appendix A**).²

კომპანიამ უნდა დანერგოს საჩუქრებისა და მასპინძლობის პროცედურა, რომელიც ადგენს ამ პოლიტიკის მოთხოვნების შესრულების პროცესს. პროცედურა ადგენს მინიმალურ ინფორმაციას, რომელიც საჭიროა თითოეული მოთხოვნის სწორად შეფასებისა და დამუშავებისათვის. მოთხოვნის ფორმის ნიმუში თანდართულია დანართი “ბ“-ს სახით (**Appendix B**).

¹ შედარება საჭიროა მხოლოდ იმ საჩუქრებისა თუ მასპინძლობის ღონისძიებებისთვის, რომლებიც რეგისტრაციას ექვემდებარება და გაცემულია კომპანიის პერსონალის მიერ.

² ეთიკისა და კომპლაენს ოფისი დაიტოვებს ყველა წერილის თუ სხვა კომუნიკაციის ასლს, რომელიც ეგზავნება უფლებამოსილ წარმომადგენელს ან სხვა მხარეს.



პროცედურა უნდა მოიცავდეს:

- საჩუქრის ან მასპინძლობის მაქსიმალურ ღირებულებას, რომელიც შეიძლება გაცემული იქნას სახელმწიფო მოხელისთვის ან მიღებული იქნას ამ უკანასკნელისგან ეთიკისა და კომპლაენსის განყოფილების (წინასწარი)³ ნებართვის გარეშე, ღირებულება შეიძლება იყოს ნულის ტოლი, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს 50 აშშ დოლარის ადგილობრივ ექვივალენტს თითო მიმღებზე.
- საჩუქრის ან მასპინძლობის მაქსიმალურ ღირებულებას, რომელიც შეიძლება გაცემული იქნას არა-სახელმწიფო მოხელისთვის ან მიღებული იქნას ამ უკანასკნელისგან (მაგალითად კომერციული პარტნიორი, კლიენტი, მომწოდებელი და ა.შ.) ეთიკისა და კომპლაენსის განყოფილების (წინასწარი)⁴ ნებართვის გარეშე, ღირებულება შეიძლება იყოს ნულის ტოლი, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს 150 აშშ დოლარის ადგილობრივ ექვივალენტს თითო მიმღებზე.
- ჯერადობის მაქსიმალური რაოდენობა (ე.ი. სიხშირე), რომლითაც საჩუქარი ან მასპინძლობა შეიძლება გადაეცეს ერთსა და იმავე პირს ან მიღებული იქნას მისგან, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს უკანასკნელი მთავრობის ოფიციალური წარმომადგენელი, ეთიკისა და კომპლაენსის განყოფილების წინასწარი ნებართვის გარეშე. სიხშირის ზღვარი არ შეიძლება აღემატებოდეს 10 შემთხვევას ერთი კალენდარული წლის განმავლობაში.

ზემოაღნიშნული ზღვრების მიზნებისათვის, საჩუქრები ან მასპინძლობა, რომლის ღირებულება 50 აშშ დოლარი ან ნაკლებია⁵ დასაშვებია არ იყოს რეგისტრირებული.

ეთიკისა და კომპლაენს მენეჯერს აქვს უფლებამოსილება, დაამტკიცოს საჩუქრის ან წარმომადგენლობითი ხარჯების მოთხოვნა თითო მიმღებზე მაქსიმუმ 5,000 აშშ დოლარის ღირებულებით. წარმომადგენლობითი ხარჯების ან საჩუქრის მოთხოვნა, რომელიც აღემატება დაწესებულ ზღვარს, წარმოადგენს საკითხს, რომელიც პირველ რიგში დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს რისკ კომიტეტს, ხოლო შემდეგ კომპანიის გენერალურ დირექტორს.

იმ შემთხვევაში, თუ ეთიკისა და კომპლაენს მენეჯერი არ შეითანხმებს საჩუქრის ან მასპინძლობის მოთხოვნას, მომთხოვნმა მხარემ უნდა დაიცვას ეთიკისა და კომპლაენს მენეჯერის ინსტრუქციები, რომელთა შორის შეიძლება იყოს მიღებული საჩუქრის დაბრუნება. დანართი „გ“ (Appendix C) არის

³ იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ნებართვის მიღება მოითხოვება, ნებართვა მიღებული უნდა იქნას საჩუქრის / მასპინძლობის გაწევამდე. წინასწარი ნებართვის მიღების შეუსრულებლობა საჩუქრის / მასპინძლობის მიმღებს / გამცემს არ ათავისუფლებს ნებართვის მიღების პასუხისმგებლობისგან ფაქტის შემდეგ.

⁴ იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ნებართვის მიღება მოითხოვება, ნებართვა მიღებული უნდა იქნას საჩუქრის / მასპინძლობის გაწევამდე. წინასწარი ნებართვის მიღების შეუსრულებლობა საჩუქრის / მასპინძლობის მიმღებს / გამცემს არ ათავისუფლებს ნებართვის მიღების პასუხისმგებლობისგან ფაქტის შემდეგ.

⁵ წინამდებარე პოლიტიკა არ კრძალავს ან არ უქმნის ზედმეტ ადმინისტრაციულ ტვირთს მცირე ღირებულების, მცირერიცობის გაცვლას, მაგალითად, შეხვედრას ფინჯან ყავაზე, მცირედი საჩუქრების მიღებას (პოტენციური) ვენდორისგან და ა.შ.



წერილის ნიშნულში, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას საჩუქრის დასაბრუნებლად ან მასპინძლობის მიღებაზე უარის სათქმელად.⁶

თუ ეთიკისა და კომპლაენს მენეჯერიშენიშნავს, რომ სელფის პერსონალი ხშირად იღებს ან გასცემს საჩუქრებს ან იღებს ან ეწევა მასპინძლობას, რომლებშიც ერთი და იგივე მხარე მონაწილეობს, ის უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ განაცხადოს უარი ამ მხარის მონაწილეობით საჩუქრების ან მასპინძლობის შემდგომი მიღების ან გაცემის შეთანხმებაზე.

კომპანია ვალდებულია, აწარმოოს საჩუქრებისა და წარმომადგენლობითი ხარჯების რეესტრი. რეესტრი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- ინფორმაცია სელფის პერსონალის შესახებ (სახელი, საკონტაქტო ინფორმაცია), ვინც გადასცემს ან მიიღებს საჩუქარს ან წარმომადგენლობით ხარჯებს
- ინფორმაცია მიმღების ან გამცემის შესახებ (სახელი, დამსაქმებელი, საკონტაქტო ინფორმაცია), მათ შორის, არის თუ არა ეს მიმღები ან გამცემი სახელმწიფო მოხელე
- გაცემული ან მიღებული საჩუქრის ან მასპინძლობის აღწერილობა, მათ შორის:
 - საჩუქრის ან მასპინძლობის სრული აღწერილობა
 - ღირებულება ერთ პირზე, აშშ დოლარში (ანექვივალენტ ლარში)
 - საჩუქარია თუ მასპინძლობა
 - გაცემულია თუ მიღებულია
- მასპინძლობის თუ საჩუქრის სტატუსი - შეთანხმებულია თუ უარყოფილი

წინამდებარე პოლიტიკის შესაბამისი ანგარიშგების, დამტკიცებისა და რეგისტრაციის მოთხოვნებიდან გამონაკლისებისთვის იხილეთ დანართი „დ“ (Appendix D)

c. ფორმალობის გამარტივების გადახდები/ Facilitation payments

ფორმალობის გამარტივების გადასახადები მცირე გადასახადებია, რომელთა დანიშნულებაა რუტინული სახელმწიფო ქმედების დაჩქარება ან ხელშეწყობა, რომელიც მოიცავს არადისკრეციულ ქმედებებს, რომლებზეც გადამხდელს ხელშეკრულებით ან სამართლებრივად აქვს უფლება (მაგ.: კომუნალურ ქსელებთან მიერთების დაჩქარება) და არაკანონიერია უმეტეს ქვეყნებში. **სელფი უკრძალავს სელფის პერსონალს და უფლებამოსილ წარმომადგენლებს ხელშეწყობის ანაზღაურების გადახდას სელფის რომელიმე წევრის სახელით, ოდენობის მიუხედავად და კრძალავს ფორმალობის გამარტივების (ხელშეწყობის) გადახდების შენიღბვას თუ დაფარვას.**

d. ზეწოლა

ზოგჯერ ქრთამი მოითხოვება, როდესაც მოთხოვნის სამიზნე ზეწოლის ქვეშაა. ზეწოლა წარმოიქმნება მაშინ, როდესაც მიზანი მოქმედებს ფაქტობრივი ან მოსალოდნელი ძალადობის,

⁶ ეთიკისა და კომპლაენს ოფისმა უნდა შეინახოს თითოეული წერილისა თუ სხვა კომუნიკაციის ასლი, რომელიც თან ახლავს საჩუქრის დაბრუნებას.



დაპატიმრების, ან სხეულის მნიშვნელოვანი დაზიანების მუქარის შედეგად. წინამდებარე პოლიტიკის მიზნებისათვის, ეკონომიკური იძულება ან გამოძალვა (ე.ი. ბიზნესისათვის ზიანის მიყენების ან შეფერხების მუქარა, რასაც ფინანსური ზარალი მოჰყვება) არ უთანაბრდება ზეწოლას.

მიუხედავად იმისა, რომ ზეწოლა უაღრესად იშვიათად ხდება, სელფი არ ელის მისი პერსონალისგან თუ უფლებამოსილი წარმომადგენლებისგან მათი ან სხვა პირების ფიზიკური უსაფრთხოების თუ დაცულობის უგულებელყოფას, თუ ზეწოლის ქვეშ არიან. თუმცა, კომპანია იმ პირისგან, რომელიც ზეწოლის ქვეშაა, მოითხოვს, დროულად შეატყობინოს ეთიკისა და კომპლაენსის განყოფილებას ზეწოლის ყოველგვარი შემთხვევის შესახებ, ისე, რომ შესაძლებელი იყოს სათანადო ზომის მიღება სამიზნის და სელფის სხვა პერსონალის თუ უფლებამოსილი წარმომადგენლის უსაფრთხოების დაცვის და ზეწოლის შემთხვევის განმეორების პრევენციისათვის. ზეწოლის ქვეშ განხორციელებული გადახდები ზუსტად და აკურატულად უნდა აღირიცხოს სელფის ფინანსურ აღმინისტრაციაში (ე.ი. ბუღალტრული წიგნები და ჩანაწერები).

e. უფლებამოსილი წარმომადგენლები

ვინაიდან სელფის შეიძლება სამართლებრივი, მათ შორის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისროს მისი ქმედებების გამო, აუცილებელია ვიცნობდეთ და ვენდობოდეთ ჩვენს უფლებამოსილ წარმომადგენლებს. ჩვენი უფლებამოსილი წარმომადგენლებისგან მოვითხოვთ წინამდებარე პოლიტიკის, სელფის სხვა პოლიტიკებისა და პროცედურების და ბიზნეს პარტნიორების ქცევის კოდექსის დაცვას. უფლებამოსილი წარმომადგენლის დასაქმებამდე სელფის პერსონალმა უნდა შეასრულოს ბიზნეს პარტნიორების დიუ დილიჯენსის პროცედურის მოთხოვნები.

სელფის პერსონალი, რომელიც დასაბუთებულად ეჭვობს, რომ უფლებამოსილმა წარმომადგენელმა შეიძლება დაარღვიოს ან დაარღვია წინამდებარე პოლიტიკა, დროულად უნდა აცნობოს სათავო ოფისის ან ადგილობრივი ეთიკისა და კომპლაენს ოფიცერს ამის შესახებ. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ წინამდებარე პოლიტიკის თავი: „ვის მივმართოთ დახმარებისთვის“.

f. სოციალური ინვესტიციები და საქველმოქმედო შემოწირულობები

სელფი აცნობიერებს, რომ მას აქვს სოციალური, ეკონომიკური, ეთიკური და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობები იმ საზოგადოების წინაშე, რომელშიც ბიზნეს საქმიანობას ეწევა და შეუძლია სოციალური ინვესტიციების ან საქველმოქმედო შემოწირულობების გაცემა. სელფი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მისი საქმიანობა არ წარმოადგენს არამართლზომიერი სარგებლის მიღების მცდელობას, სელფის რომელიმე წარმომადგენლის სასარგებლოდ ან ნებისმიერი სხვა არამართლზომიერი მიზნისთვის.

თითოეული კორპორატიული გრანტი უნდა განხორციელდეს შესაბამისი პოლიტიკებისა და პროცედურების დაცვით და უნდა იყოს გამჭვირვალე, დასაბუთებული და კეთილსინდისიერად და ზუსტად აღრიცხული სელფის ფინანსურ აღმინისტრაციაში (ე.ი. ფინანსურ ჩანაწერებში).

კომპანიის შესაბამის პერსონალს ეკისრება ვალდებულება, აწარმოონ მოთხოვნილი პროექტების განხილვის, რისკების შეფასებისა და დამტკიცების ჯეროვანი, დოკუმენტირებული პროცესები და ამასთან, აწარმოონ რეესტრი, რომელშიც ასახული და დაარქივებული იქნება ყველა ის აქტივობა, რომელიც უკავშირდება სოციალურ ინვესტიციასა და საქველმოქმედო შემოწირულობას, კომპლაენს



განხილვის, რისკების შეფასებისა და პროექტის შეთანხმების დოკუმენტაციასთან ერთად. დანართი „ე“ (Appendix E) იძლევა ინფორმაციას, რომელიც კომპანიის მიერ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, სოციალური ინვესტიციის პროექტის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში; საქველმოქმედო შეწირულობების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებისათვის დამხმარე ინფორმაცია მოცემულია დანართი „ვ“-ში (Appendix F). ეთიკისა და კომპლაენს განყოფილება შეაფასებს თითოეული მოთხოვნის რისკებს, ყველა ფაქტის, გარემოებისა და საყურადღებო ინფორმაციის/red flags გათვალისწინებით (საყურადღებო ინფორმაციის/red flags მაგალითები მოცემულია დანართ „ზ“-ში (Appendix G).

საქველმოქმედო შეწირულობებში შედის შეწირულობები ლეგიტიმური არასამთავრობო ან მთავრობათაშორისი (მაგალითად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის) არაკომერციული ორგანიზაციების ან დაწესებულებებისთვის, როგორცაა კანონით დადგენილი საქველმოქმედო, საერთაშორისო და ადგილობრივი დახმარების ან ჰუმანიტარული ორგანიზაციები, მთავრობის მიერ დაფუძნებული კატასტროფების მართვის ორგანოები და საავადმყოფოები. მიმღებმა ორგანიზაციამ უნდა შეძლოს საკუთარი უფლებამოსილების დადასტურება, დოკუმენტაციის წარდგენის გზით, რომელიც ასახავს მის ლეგიტიმურ ჰუმანიტარულ, სტიქიური უბედურებების დროს დახმარების გამწევ ან არაკომერციულ სტატუსს.

სოციალური ინვესტიციები მოითხოვს ოფიციალურ ვალდებულებებს, მაგალითად, კონტრაქტს, წარმატების კრიტერიუმებს და გაზომვად და გაზომილ საინვესტიციო ამონაგებს. სოციალური ინვესტიციებს სარგებელი მოაქვს სელფისთვის, ხელს უწყობს რა მეწარმეობისა და ინოვაციების განვითარებას იმ საზოგადოებებში, რომლებსაც ემსახურება და ქმნის შესაძლებლობებს ციფრული სწავლებისა და წინსვლისთვის, ციფრული ინიციატივებისა და მიზნობრივი ტრენინგების მეშვეობით.

მხარდაჭერის შემდეგი ტიპები, ფინანსური თუ არაფინანსური, პირდაპირი თუ ირიბი, იკრძალება წინამდებარე პოლიტიკის შესაბამისად:

- საძმო, სარწმუნოებრივი ან რელიგიური ორგანიზაციებისთვის;
- პოლიტიკური პარტიების, ორგანიზაციებისა თუ კანდიდატებისთვის;
- რომელიც არამართლზომიერ ზეგავლენას მოახდენს საწელმწიფო მოხელეზე, კლიენტზე, ან სხვა ბიზნეს პარტნიორზე;
- ორგანიზაციისთვის, რომელიც ექვემდებარება ეკონომიკურ, სავაჭრო ან ფინანსურ სანქციებს ან ჩართულია კორუფციულ საქმიანობაში ან ავლენს არაეთიკურ ქცევას ან აქვს ამგვარი რეპუტაცია; ან
- საჯარო სექტორის პროგრამისთვის, თუ პირდაპირ მიმღებს წარმოადგენს ოფიციალური სამთავრობო ფიზიკური პირი ან მასთან მჭიდროდ დაკავშირებული პირი.⁷

იმისათვის, რომ აქტივობა ნებადართული იყოს, ის უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პრინციპებს, მისი ტიპების - სოციალური ინვესტიციების ან საქველმოქმედო შეწირულობების - შესაბამისად:

⁷ ეთიკისა და კომპლაენს მენეჯერმა, ასევე, უნდა გაითვალისწინოს მჭიდრო პირადი ურთიერთობები, რომლებიც შესაძლოა სახელმწიფო მოხელეს ჰქონდეს მიმღებთან; უნდა შეამციროს ან აღმოფხვრას ყველა ის „საყურადღებო ინფორმაცია/red flag“, რომელსაც შეიძლება აღნიშნული ურთიერთობები წარმოადგენდეს. საჭიროა დეტალური შემოწმება და განხილვა/due diligence.



	კრიტერიუმები	დამატებითი მოთხოვნები
სოციალური ინვესტიციები	<p>ნებისმიერი სოციალური ინვესტიცია „სელფის“ მიერ ან მისი სახელით უნდა აფინანსებდეს/მხარს უჭერდეს პროექტს რომელიც შეესაბამება და პასუხობს „სელფის“ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგიას.</p> <ul style="list-style-type: none"> • ხსენებულ სტრატეგიას ადგენს „სელფის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური და ამტკიცებს გენერალური დირექტორი. სტრატეგიის გადახედვა საჭიროებისამებრ ხორციელდება ყოველწლიურად. 	<ol style="list-style-type: none"> 1. უნდა განხორციელდეს უშუალოდ საბოლოო ბენეფიციარისთვის და არა მესამე მხარის მეშვეობით; 2. თუ შესაძლებელი და შესაფერია, გადაცემული უნდა იქნას სელფის არაფინანსური სერვისების მეშვეობით (მაგ. უფასო მომსახურება ან მოწყობილობები) და არა ფინანსური კონტრიბუციების სახით); 3. კონკურსები ან სასაჩუქრე სარეკლამო აქციები უნდა იყოს ობიექტური, ღია, გამჭვირვალე და არ უნდა ქმნიდეს არასწორ აღქმას. 4. გამყარებული უნდა იყოს სათანადოდ ხელმოწერილი კონტრაქტით სადაც განისაზღვრება გაზომვადი შედეგები. 5. უნდა ექვემდებარებოდეს დეტალურ შემოწმებას (due diligence) და სქრინინგს შესაბამის პოლიტიკებსა და პროცედურებთან ერთად.⁸
საქველმოქმედო შეწირულობები	<p>საქველმოქმედო შეწირულობები განისაზღვრება ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის, მოქმედი მმართველობითი პროცესების შესაბამისად, კომპანიის გენერალური დირექტორის თანხმობით და:</p> <ul style="list-style-type: none"> • უნდა იყოს კანონიერად შექმნილი არასამთავრობო ან მთავრობათაშორისი (მაგალითად, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია) ან არაკომერციული ორგანიზაციის ან დაწესებულებისთვის, მთავრობის მიერ სპეციალურად შექმნილი 	<ol style="list-style-type: none"> 1. უნდა გაიცეს იმ ორგანიზაციების სასარგებლოდ, რომლებსაც გააჩნია ლეგიტიმური ჰუმანიტარული, საქველმოქმედო ან სტიქიური უბედურებების დროს დახმარების გაწევის სტატუსი და სარგებლობს პატიოსანი და სამართლიანი მოპყრობის რეპუტაციით და 2. შესაბამის პოლიტიკისა და პროცედურის დოკუმენტებთან ერთად, ექვემდებარება დიუ დილიჯენსის შემოწმებასა და სკრინინგს⁹.

⁸ დიუ დილიჯენსის ფორმა და მოცულობა განისაზღვრება ეთიკისა და კომპლაენს მენეჯერის მიერ.

⁹ დიუ დილიჯენსის ფორმა და მოცულობა განისაზღვრება ეთიკისა და კომპლაენს მენეჯერის მიერ.



	<p>საგანგებო ე.ი. პანდემიის, სტიქიური უბედურებების ან კატასტროფების მართვის შესაბამისი უწყებისთვის და</p> <ul style="list-style-type: none"> • უნდა რეაგირებდეს მნიშვნელოვან საგანგებო სიტუაციებზე, როგორცაა სტიქიური უბედურება, ჰუმანიტარული კრიზისი ან სხვა მასშტაბური მოვლენა. 	
--	--	--

ეთიკისა და კომპლენს მენეჯერს შეუძლია სოციალური ინვესტიციის ან საქველმოქმედო შეწირულობის ან რიგი სოციალური ინვესტიციებისა თუ საქველმოქმედო შეწირულობების ავტორიზაცია ერთი და იგივე ან მასთან დაკავშირებული მხარისათვის, რომელთა ჯამური ღირებულება შეადგენს 50,000-მდე (ჩათვლით) აშშ დოლარის ექვივალენტს. ნებისმიერი სოციალური ინვესტიცია ან საქველმოქმედო შეწირულობა ან რიგი სოციალური ინვესტიციები ან საქველმოქმედო შემოწირულობები ერთი და იგივე ან მასთან დაკავშირებული მხარისათვის, რომლის ღირებულება 50 000 აშშ დოლარის ექვივალენტზე მეტია, უნდა წარედგინოს კომპანიის რისკ კომიტეტს განსახილველად.. გარდა ამისა, თითოეული სოციალური ინვესტიცია ან საქველმოქმედო შეწირულობა, რომელსაც მოითხოვს ან მხარს უჭერს სახელმწიფო ორგანო, მთავრობასთან დაკავშირებული სუბიექტი, საჯარო მოხელე ან მისი ახლო ნათესავი, განხილვისთვის უნდა წარედგინოს რისკების კომიტეტს და საქველმოქმედო შეწირულობის შემთხვევაში, დამატებით შეთანხმდეს კომპანიის გენერალური დირექტორის მიერ.

ამასთან, ნებისმიერი სოციალური ინვესტიცია ან საქველმოქმედო შეწირულობა, მიუხედავად დაგეგმილი ბიუჯეტისა, ეთიკისა და კომპლენს ფუნქციასთან წარდგენამდე, უნდა დამტკიცდეს საქველმოქმედო შეწირულობების კომიტეტის მიერ.

გ. კომერციული სპონსორობა

კომერციული სპონსორობა შეიძლება გამოყენებული იქნას სელფის ბრენდის განსამტკიცებლად, მაგრამ, არ უნდა ქმნიდეს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ გამიზნულია არაჯეროვანი უპირატესობის მიღებისთვის. ყველა კომერციული სპონსორობა უნდა იყოს გამჭვირვალე, დასაბუთებული და აკურატულად და ზუსტად უნდა იქნას აღრიცხული სელფის ფინანსურ ადმინისტრაციაში (ე.ი. ფინანსურ ჩანაწერებში).

კომერციული სპონსორობა მოითხოვს ფორმალურ პროცედურებს, მათ შორის, წერილობითი კონტრაქტების გაფორმებას და:

1. არასოდეს არ უნდა იქნას გადახდილი ნაღდი ანგარიშსწორებით (ე.ი. ფიზიკური ვალუტით);
2. ითვალისწინებდეს სელფის ქცევის კოდექსს, პოლიტიკებს და პროცედურებს, სტრატეგიას და ბიუჯეტს;
3. უნდა განხორციელდეს მხოლოდ ყველა იმ მხარის კომპლექსური შემოწმების შემდეგ, რომელიც დაკავშირებულია კომერციულ სპონსორობასთან და მისი მიმღებია. დიუ



- დიდიჯენსის ფორმა და მოცულობა განისაზღვრება ეთიკისა და კომპლენს მენეჯერის მიერ, პროექტთან ასოცირებული რისკების შესაბამისად;
4. უნდა იყოს ზუსტად და სრულყოფილად დოკუმენტირებული, მათ შორის, კომპლექსური შემოწმების და კომერციული სარგებლის გათვალისწინებით და დამტკიცებული უნდა იქნას შესაბამისი პროცედურების დაცვით. დოკუმენტაციაში მკაფიოდ უნდა იქნას მითითებული კომერციული სპონსორობისთვის გადასახდელი თანხა და აღწერილი უნდა იქნას ყველა სხვა გასაწევი მხარდაჭერა.
 5. დასაბუთებული უნდა იქნას ბიზნეს წინადადებით და მიზნით; და
 6. უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას.

ინტერესთა კონფლიქტი, რომლებიც წარმოიქმნება კომერციული სპონსორობის განხილვისას, გამჟღავნებული უნდა იქნას ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკის შესაბამისად.

ფინანსური თუ არაფინანსური/in-kind კომერციული სპონსორობის შემდეგი ტიპები იკრძალება წინამდებარე პოლიტიკის შესაბამისად:

- საძმო, სარწმუნოებრივი ან რელიგიური ორგანიზაციების სპონსორობა;
- პოლიტიკური პარტიის, ორგანიზაციის ან კანდიდატის სპონსორობა;
- სპონსორობა, რომელიც არამართლზომიერ ზეგავლენას მოახდენს ან არაჯეროვან სარგებელს მოუტანს სახელმწიფო მოხელეს, კლიენტს, ან რომელიმე სხვა ბიზნეს პარტნიორს;
- ორგანიზაციის სპონსორობა, რომელიც ექვემდებარება ეკონომიკურ, სავაჭრო ან ფინანსურ სანქციებს, ან მონაწილეობს კორუფციულ ან არაეთიკურ ქცევაში, ან აქვს ასეთი რეპუტაცია;
- საჯარო სექტორის პროგრამის სპონსორობა, რომელშიც პირდაპირი ბენეფიციარი საჯარო მოხელე ან მისი ახლო ნათესავია.

კომპანიას და შესაბამის პერსონალს მოეთხოვება კომერციული სპონსორობის მოთხოვნების განხილვის, რისკების შეფასებისა და დამტკიცების სათანადო, დოკუმენტირებული პროცესებისა და რეესტრის წარმოება, რომელშიც აღირიცხება კომერციული სპონსორობის ყველა ღონისძიება, ყველა დოკუმენტაციასა და ინფორმაციასთან ერთად, რომელიც დაკავშირებულია კომპლენს განხილვისა და დამტკიცების პროცესთან. დანართი „თ“(Appendix H) იძლევა ინფორმაციას, რომელიც OpCo-ს მიერ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული კომერციული სპონსორობის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. ეთიკისა და კომპლენს განყოფილება განახორციელებს კომერციული სპონსორობის თითოეული მოთხოვნის კორუფციული რისკების ჯეროვან განხილვას, პროექტთან დაკავშირებული ყველა ფაქტის, გარემოებისა და საყურადღებო ინფორმაციის/red flag“(red flag-ის მაგალითები იხილეთ დანართ „ზ“-ში (Appendix G)) გათვალისწინებით.

ეთიკისა და კომპლენს მენეჯერს შეუძლია კომერციული სპონსორობის ღონისძიების ან ღონისძიებათა ერთობლიობის (ერთი და იგივე ან მასთან დაკავშირებული მხარისათვის)



ავტორიზაცია, რომელთა ჯამური ღირებულება შეადგენს 50,000-მდე (ჩათვლით) აშშ დოლარის ექვივალენტს. ნებისმიერი კომერციული სპონსორობის ღონისძიების ან ამ ღონისძიებათა რიგი ერთი და იგივე ან მასთან დაკავშირებული მხარისათვის, რომლის ღირებულება 50 000 აშშ დოლარის ექვივალენტზე მეტია, უნდა წარედგინოს რისკების კომიტეტს განსახილველად. გარდა ამისა, თითოეული კომერციული სპონსორობა, რომელსაც მოითხოვს ან მხარს უჭერს სახელმწიფო ორგანო, საჯარო მოხელე ან მისი ახლო ნათესავი, ან ეს უკანასკნელი წარმოადგენენ აღნიშნული კომერციული სპონსორობის სარგებლის პირდაპირ ან ირიბ მიმღებს, ესკალირებული უნდა იქნას რისკების კომიტეტთან განხილვისთვის..

h. შერწყმა, შექენა და ერთობლივი საწარმოები

შექენის, ერთობლივი საწარმოების თუ მინორიტარული საინვესტიციო შესაძლებლობებით სარგებლობისას სელფიმ უნდა დაიცვას შესაბამისი პოლიტიკები და პროცედურები და, კერძოდ, უნდა შეისწავლოს სამიზნე ან პოტენციური პარტნიორი წარსულ არაჯეროვან ქმედებებზე პასუხისმგებლობის თავიდან არიდების მიზნით, დასაბუთებული და ჯეროვანი წინასაატრანზაქციო სრული შემოწმების და, საჭიროებისამებრ, შექენის შემდგომი ინტეგრაციის პროცედურების შესრულების გზით.

i. მოწესრიგებული ფინანსური ჩანაწერები

კომპანიას, მოქმედი კანონების შესაბამისად, მოეთხოვება მოწესრიგებული ბუღალტრული წიგნებისა და ჩანაწერების წარმოება, რომლებიც ზუსტად ასახავს ყველა ტრანზაქციას და არ შეიცავს ცრუ თუ შეცდომაში შემყვან ინფორმაციას.

ყველა ტრანზაქცია აღრიცხული უნდა იქნას სრულად და ზუსტად, ისე, რომ ყველა თანხის მიზნობრიობა და ოდენობა გარკვევით იყოს წარმოდგენილი. კომპანიის გაუმჟღავნებელი ან აღურიცხავი სახსრები თუ აქტივები არ უნდა იქნას დადგენილი არავითარი მიზნისთვის. ცრუ, შეცდომაში მომყვანი თუ ხელოვნური ჩანაწერები არასოდეს და არავითარი მიზნით არ უნდა გაკეთდეს სელფის ბუღალტრულ წიგნებსა და ჩანაწერებში.

VI. კონტროლი

წინამდებარე პოლიტიკის დაცვის ხელშეწყობისა და პოლიტიკის მოთხოვნების დაცვის გარანტირების მიზნით კომპანია მიიღებს კონტროლის შესაბამის ზომებს მის ბიზნესსა და საქმიანობასთან დაკავშირებით. კომპანია რეგულარულად განიხილავს, შეამოწმებს და შეცვლის კონტროლის შესაბამის ზომებს (ელემენტებს), რათა უზრუნველყოფილი იქნას მუდმივი ეფექტურობა და შეატყობინებს ამგვარი ტესტირების შედეგებსა და ხარვეზებს რისკების კომიტეტს.

VII. ვის მივმართოთ დახმარებისთვის

თუ თვლით, რომ ვინმემ შესაძლოა დაარღვია წინამდებარე პოლიტიკა დაუკავშირდით ეთიკისა და კომპლაენს ოფისს compliance@cellfie.ge. პრობლემის შესახებ ინფორმაცია ასევე, შეგიძლიათ



დააფიქსირეთ IDC@cellfie.ge ბმულის გამოყენებით. სელფისთვის მიუღებელია შევიწროვების, შეურაცხყოფის ან დაშინების ნებისმიერი ფორმა იმ პირის მიმართ, რომელმაც კეთილსინდისიერად განაცხადა პრობლემის შესახებ.

კომპანია გამოიკვლევს სავარაუდო გადაცდომას აღნიშნულ პროცედურასთან მიმართებაში, მოკვლევის შესაბამისი პროცედურების შესაბამისად. სელფის ნებისმიერი პერსონალი, რომელიც დაარღვევს აღნიშნულ პროცედურას დაექვემდებარება დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომებს, მათ შორის გათვალისწინებულია დასაქმების შეწყვეტა.

VIII. დამხმარე დოკუმენტები

სელფის პოლიტიკები და პროცედურები ხშირად განხილული უნდა იქნას სხვა პოლიტიკებსა და პროცედურებთან ერთად. შემდეგი პოლიტიკები და პროცედურები იძლევა დამატებით მითითებებსა და მიმართულებებს, მნიშვნელოვანს წინამდებარე პოლიტიკისთვის.

დასახელება	
